

შპს „აგრო მსოფლიო“

31 დეკემბრით დასრულებული 2023

წლის კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	235622	2 191 534	1 786 045
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1353640	321 486	363 417
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	8578	789 373	574 535
მარაგები		740 605	824 094	191 921
მზა პროდუქცია		141 833	113 650	
სხვა	7	598 772	710 444	191 921
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6	588	8 452	5 007
ბიოლოგიური აქტივები		130 590	174 010	212 602
თვითღირებულების მოდელით	8	130 590	174 010	212 602
გადაფასების მოდელით				
ძირითადი საშუალებები	9	12 325 362	11 448 220	11 763 620
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		9 000	9 000	9 000
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		14 803 985	15 766 169	14 906 147
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	10	340 428	109 277	264 452
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		16606	39	75
საგადასახადო ვალდებულებები		47 138	76 371	7 635
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	12 365 020	12 378 404	8 727 742
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12	10 560 435	11 047 612	13 521 399
სხვა ვალდებულებები		1045	3 916	67 558
სულ ვალდებულებები		23 330 672	23 615 619	22 588 861
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	13		885 126	889 845
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-8 526 687	-8 734 576	-8 572 559
გადაფასების რეზერვი				
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		-8 526 687	-7 849 450	-7 682 714
სულ საკუთარი კაპიტალი		-8 526 687	-7 849 450	-7 682 714
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14 803 985	15 766 169	14 906 147

დირექტორი

5. 2024

კახა მელუა

თარიღი: 30.09.2024

სრული შემოსავლების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა:	31.12.2023	31.12.2022
ნეტო ამონაგები		2 274 606	1 323 211
საქონლის გაყიდვიდან	14	2 263 164	1 323 211
სხვა		11442	
გაყიდვების თვითღირებულება		-879 388	-872 767
სხვა საოპერაციო შემოსავალი		589019	1 266 333
დასაქმებულთა ანაზღაურება	15	-332230	-408 505
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	16	-496176	-487 612
საპროცენტო შემოსავალი	17	487094	155 822
საპროცენტო ხარჯი	17	-1993170	-1 930 532
იჯარის ხარჯი		-6780	-16 304
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	-557482	-418 989
სულ საოპერაციო ხარჯები		-2 309 725	-1 839 787
საოპერაციო მოგება		-914 507	-1 389 343
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		108088	1 425 223
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14	194924	-197 897
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-611 495	-162 017
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-611 495	-162 017
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-611 495	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-611 495	-162 017
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილები მოგება (ზარალი)			
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილები მოგება (ზარალი)			
მოგება / (ზარალი)		-611 495	-162 017
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		-7 849 450	-7 682 714
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-65 742	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-4 719
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-8 526 687	-7 849 450

დირექტორი

5. ზეფ.

კახა მელუა -

თარიღი: 30.09.2024

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრო მსოფლიო“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2018 წლის 15 თებერვალს. საიდენტიფიკაციო კოდი - 405 253 942. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, N 24. სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა და მათი სამომავლო განვითარება.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს მისი დირექტორი:

კახა მეღუაშვილი პ/ნ 33001010950 . მისამართი: ოზურგეთი სოფ ბახვი მე-15 ქ ბ126

კომპანიის 100%-იან მფლობელობაშია საქართველოს რეზიდენტი საწარმო - შპს „ეფკო“ (ს/კ 429 321 851). შპს „ეფკო“-ს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა კენკროვანი ხილის, ძირითადად ლურჯი მოცვის მოყვანა-რეალიზაცია.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სათავე კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

მეკავშირე კომპანიები

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს). სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე.

მეკავშირე საწარმოში აღიარებულია წილობრივი მეთოდით. ინვესტიციების აღრიცხვა წილობრივი მეთოდით იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ინვესტირებული საწარმო მიიჩნევა მეკავშირე საწარმოდ.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. შპს „აგრო მსოფლიო“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რადგანაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და აღიარებს მათი ეკონომიური შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა ითვალისწინებს მათ სამართლებრივ მხარესაც.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოებს პირდაპირი მეთოდით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

გამოყენებულია საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“.

სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება სამართლიანი ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.

მარაგები შედგება აქტივებისგან, რომელთაც მასალის დანიშნულება აქვთ. ისინი ფასდება თვითღირებულებას და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება იმ ღირებულებით რომელიც გაწეულ იქნა მის მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოს ზედნადებ დანახარჯებს. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალი. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენობა ნაგებობები 5%;

მიმოსვლის გზები 5%;

სარწყავი სისტემა 5%;

მანქანა დანადგარები 10%;

ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები 10%;

ელექტროგადამცემის საშუალებები 10%;

კავშირგაბმულობის საშუალებები 20%;

ავეჯი, საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა 20%;

ინვენტარი და ელ. მოწყობილობები 20%;

სპეციალური ინსტრუმენტები და ინვენტარი 12,5%;

მსუბუქი ავტომობილები 20%;

ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად და სხვა ავტოტრანსპორტი 10%;სხვა

ამორტიზირებადი ძირითადი საშუალება 25%;

მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები 50%;

ბიოლოგიური აქტივები 20%;

არამატერიალური აქტივები 20%.

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. საწყისი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ სამართლიან ღირებულებას.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღება მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

დივიდენდები. დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შემოსავლებს წარმოადგენს მოცვის რეალიზაციით და სხვა ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიანი ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ხარჯების აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაწევისთანავე, თუ მის შედეგად მოსალოდნელი აღარ არის ეკონომიურისარგებლის მიღება ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც მის ბალანსში აქტივად აღიარებისთვისაა აუცილებელი.

გადასახადები კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2023 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.6894 ლარი;

1 EUR= 2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.702 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები;

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები ლარში	15622	126 892	1 505
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები დოლარში		32	3 446
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები ევროში		0	9
ფული სალაროში (ნაღდი ფული)		0	0
ფული ვადიან დეპოზიტებზე ლარში	220 000	2064610	1781085
ჯამი:	235 622	2 191 534	1 786 045

კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და

მათი ეკვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

4. მოთხოვნები გაწეული მომსახურებდან:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოცვის რეალიზაცია საქართველოში	1 353 640	68 291	65 556
მოცვის ექსპორტი	259 477	253 195	297 861
მოცვის ექსპორტის საექსპორტო მოთხოვნების კორექტირება	-259 477		
სულ	1 353 640	321 486	363 417

საწარმომ დააკორექტირა ექსპორტზე გაგზავნილი პროდუქციიდან 2020-2021 წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები და მიანიჭა მას უიმედო მოთხოვნების კვალიფიკაცია.

5. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
გაცემული მოკლევადიანი პროცენტის სესხები		49 027	78 486
გაცემულ მოკლევადიან პროცენტთან სესხებზე დარიცხული პროცენტები	859		
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	7 719	740 346	8 572
სხვა მოკლევადიანი აქტივები	588		487 477
სხვა		8 452	5 007
სულ	9 166	797 825	579 542

6. მარაგები:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოცვი	141 833	113 650	0
შემცენილი კენკრა	67 614		
სასუქები	123 552	141 245	867
პესტიციდები	86 950	86 140	53 485
შესაფუთი ტარა	208 831	173 833	113 850
საწვავ საცხები მასალა	79	1 927	415
შრომის უსაფრთხოების/სურსათის უვნებლობის მარაგი	4417.86	848	848
სხვა მარაგი	107 329	306 451	22 456
სულ	740 605	824 094	191 921

7. ბიოლოგიური აქტივები:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოცვის ნერგები	130 590	174 010	212 602
სულ	130 590	174 010	212 602

8. ძირითადი საშუალებები:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიწის ნაკვეთები	7 070 263	7 070 261	6 983 776
დაუმთავრებელი მშენებლობა	21 894		
სამაცივრე მეურნეობა	1 289 091	2 945	
მიმოსვლის გზები	122 188	129 188	136 188
შენობები	1 025 574	1 085 883	1 146 191
ნაგებობები	408 377	432 001	390 684
სარწყავი სისტემა	436 551	453 802	422 074
მანქანა-დანადგარები	1 231 399	1 405 769	1 571 478
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	12 080	8 921	9 432
ელექტროგადაცემის საშუალებები	202 435	233 579	264 723
კავშირგაბმულობის საშუალებები	4 450	5 986	3 013
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	44 820	61 113	57 505
კომპიუტერული ტექნიკა	12 768	18 442	22 845
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	12 334	16 076	19 653
ავეჯი	11 039	19 071	25 857
ინვენტარი (სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტები)	16 269	21 359	27 247
სპეციალური ინსტრუმენტები	53 130	61 534	67 637
ინვენტარი	18 475	6 759	25 405
მსუბუქი ავტომობილები	35 373	55 297	61 505
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	293 597	261 988	328 478
სხვა	2 528	95 317	85 636
მცირეფასიანი (ათას ლარამდე) ძირითადი საშუალებები	726	2 929	3 993
სულ	12 325 362	11 448 220	11 653 320

9. წილობრივი მონაწილეობა სხვა საწარმოში:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ინვესტიციები სხვა საწარმოთა ინსტრუმენტებში	9 000	9 000	9 000
სულ	9 000	9 000	9 000

10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა:

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმწოდებლები (ლარი)	71 947	13 840	73 095
მიმწოდებლები (ძირითადი საშუალებები)	260 906	85 315	112 749
სხვა მიმწოდებლები (ვალუტა)		56	68
გადასახდელი სადაზღვევო ვალდებულებები		3 984	3 214
კომუნალურის მიმწოდებლები	7575	3053	3882
საწვავის მიმწოდებლები		0	99
მიღებული ავანსები		0	13 500
დაგროვებული საპენსიო ფონდი	16120	3029	10 345
სხვა მიმწოდებლები		0	47 500
სულ	356 548	109 277	264 452

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
საგადასახადო ვალდებულება	47 138	74 017	7 635
ავანსად მიღებული თანხები	1 045		
ვალდებულება თანამშრომლების წინაშე	486		
სულ	48 669	74 017	7 635

11. მიმდინარე სასესიო ვალდებულებები;

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ 110 000 \$		297 220	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ 80 000\$		216 160	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ		50 000	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ		2 372 000	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 2023 წელს	662 937		
ვტბ ბანკისგან აღებული მოკლევადიანი სესხი ხელშეკრულებით 615.2153993, აღებულია 28/12/2021			2 954 515
მოკლევადიანი სესხი იურიდიული პირებიდან	4 929 612	2 211 810	2 385 849
იურიდიული პირებისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტები	523 771	79 317	
ჰალიკ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხებზე დარიცხული პროცენტები		23 852	
ჰალიკ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)		1 027 031	
დამფუძნებლის წინაშე ვალდებულებები	4 065 434		
სულ მოკლევადიანი სასესიო ვალდებულებები	10 181 754	6 277 390	5 340 364

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ 110 000 \$		297 220	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ 80 000\$		216 160	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ		50 000	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ		2 372 000	
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 2023 წელს	662 937		
ვტბ ბანკისგან აღებული მოკლევადიანი სესხი ხელშეკრულებით 615.2153993, აღებულია 28/12/2021			2 954 515
მოკლევადიანი სესხი იურიდიული პირებიდან	8 547 919	8 269 885	5 773 227
იურიდიული პირებისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტები	1 255 130	6 217	
ჰალიკ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხებზე დარიცხული პროცენტები			
ჰალიკ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)		1 173 231	
დამფუძნებლის წინაშე ვალდებულებები	1 899 034		
სულ მოკლევადიანი სასესიო ვალდებულებები	12 365 020	12 384 713	8 727 742

12. გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები;

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ბაზის ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)15/11/202წ	1 000 000	1 000 000	
ჰალივ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)	1 498 256	1 565 814	2 952 803
ჰალივ ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში(ევრო)	924 068	1 046 413	2 044 596
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში (დოლარი)	7 138 111	7 435 385	8 524 000
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:	10 560 435	11 047 612	13 521 399

13. ცვლილება სააქციო კაპიტალში;

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აგრომსოფლიო			4 265
ეფკო		885 126	885 580
გაუნაწილებელი მოგება	-8 526 687	-8 734 576	-8 572 559
სულ	-8 526 687	-7 849 450	-7 686 979

14. შემოსავალი;

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
შემოსავლები მოცვის საქართველოში რეალიზაციიდან	1 889 667	1 045 996
შემოსავლები მოცვის ექსპორტიდან	341 012	277 215
სულ შემოსავალი მოცვის რეალიზაციიდან	2 230 679	1 323 211
სხვა შემოსავალი	43 927	1 266 333
ჯამი:	2 274 606	2 589 544

15. სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი;

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
შრომის ანაზრაურება(საერთო-ადმინიტრაციული)	-326 402	-372 470
პირდაპირი ხელფასი თვითღირებულებაზე მისაკუთვნიებული	-343 266	-292 429
სულ დასაქმებულთა ანაზრაურება	-669 668	-664 899

16. ცვეთა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 1 471 210 ლარი;

2022 წლის ბოლოს - 975 033 ლარი;

17. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
საპროცენტო შემოსავალი	487 094	155 822
საპროცენტო ხარჯი	-1 993 170	-1 474 290
ჯამი	-1 506 076	-1 318 468

18. სულ არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

დასახელება	2023 წ	2022 წ
სხვა შემოსავალი	532 633	132 777
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (დადებითი კურსთა სხვაობა, სხვა)	1 371 548	54 229
სხვა არასაოპერაციო ხარჯი (უარყოფითი კურსთა სხვაობა, სხვა)	-1 068 538	-40 055
ჯამი	835 643	146 951

19. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

დასახელება	2023 წ	2022 წ
ელექტროენერგიის ხარჯები	-122305	-3 266
სხვა თვითღირებულებაზე მისაკუთვნიებული ხარჯები	-69232	
პესტიციდები, სასუქების, შესაფუთი ტარა, ირიგაციის ხარჯები	-236765	
სხვა საწარმოო ხარჯები	-37607	
შემენილი საქონლის რეალიზაციის თვითღირებულების ხარჯი	-41162	
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	-3177	-5 469
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	-3045	-7 639
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	-28 267	-65 558
საკანცელარიო ხარჯები	-838	-1 515
დაგროვებითი საპენსიო ფონდის ხარჯები	-11505	-12 605
რეკლამის ხარჯები, ტრანს., მივლინების და სხვა მიწოდების ხარჯები	-22 801	-22 012
საწვავის ხარჯი	-46648	-31 420
მივლინების ხარჯები	-10766	0
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა	-2342	-36 874
ავტომატური რემონტის ხარჯები	-3526	-8 708
სახარჯი მასალები	-15614	-21 175
საგადასახადო ხარჯები	-57 498	0
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	-53 310	-21 635
სხვა ხარჯები	-286 814	-181 093
ცვრთა	-492 778	-496 176
სულ	-1 546 000	-915 145

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.